სახალხო გაზეთი

№ 1174 სამშაბათი, 29 აპრილი 1914 წ. № 1174

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოღდინი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის „სახალხო გაზეთზე“

(სურათებიანი დამატებით)

წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ:
1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.

წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.

მისამართის გამოცვლილი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ.
ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.
მისამართი: Тифлисъ. газ. „Сахалхо Газети“ П. Ящ. 190

ტელეფ. **ქართული თეატრი** № 795.

უკანასკნელი წარმოდგენა.

ოთხშაბ., 30 აპრილს, ქარ. დრ. საზ. დასის მიერ წარ. იქნება ორიგ. პიესა:

გადაჭრილი მუხა,

პიესა 4 მოქმ. ვ. შალიკაშვილისა.
მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყ. ზუსტად საღ. რვა-ნახევარ საათ. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
1138 რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. ადმ. ქართ. დრამ. საზ.

დიდი ცირკი ფ. ა. სუპატოვისა

მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.

დღეს, 29 აპრილს,

სრულებით შეცვლილის პროგრამით გაიმართება

ჩვენი სამშაბათები

ცირკის საუკეთესო ძალთა მონაწილეობით. დღეს ბალეტი. დღეს მონაწილეობენ აგრეთვე უშიშარი, მავთულზე მოსიარულე ქ-ნი ლიდინა, მერცხალა დები კუროვეროვები, მცირე-წლოვანი ფალავანი რობერტსისნი. ყველგან საზოგადოების საყვარელი, დღიურ პროგრამის მუსიკალური ექსცენტრიკოსები ბ-ნნი როზეტები, დასახელებული ჰალონის ჟონგლერები ბ-ნნი კინკოვსკები. გამოჩენილი ჯამბაზები როსსინის ოჯახობა. [illegible] ქალი ცხენზე სუპატოვისა და მრავალი სხვა.

ცირკის დირექტორი **ფ. ა. სუპატოვი.** გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 294

ახალი კლუბი

გახსნა ახალი სეზონისა დანიშნულია სამშაბათს, 29 აპრილს, 1914 წ. **საზამთრო თეატრში.** გაიმართება

კონცერტი

დიდი სიმფონიური ორკესტრისა, შემდგარი 60 დამკვრელისაგან **ი. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.** პროგრამა: განყოფილ. 1-ლი, La Patria, დრამ. უვერტ. ბიზესი. 2) ამაზონკების თამაში, ლიადოვისა. 3) „ინტერმეცო“, ოპერ. დუბროვსკი-ნაპრავ. 4) „პარიზის კარნავალი“, სვენდსენისა. განყ. 2-ე: 5) „კარნავალი“, უვერტ. დვორჟაკისა. 6) „საკონცერტო ვალსი № 2 F-dur“, გლაზუნოვისა. 7) „არლეზიენი“, სიუტა-ბიზესი. 8) „პოლონეზ“ № 1—A—dur, შოპენისა. **დასაწყ. საღ. სრულ 9 ს.**

სტუმ. კლუბში შესას. იხდიან კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ. მაყურებელთ სთხოვენ, დაკვრის დროს სიჩუმეს ნუ დაარღვევენ. 1155

დაიბეჭდა და იყიდება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამოცემა

ი. გრიშაშვილი

წიგნში მოთავსებულია დღემდე დაწერილ-დაბეჭდილი ყველა ლექსი. ფასი ერთი მანეთი

ტფილისში წიგნი იყიდება—ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, (სასახ. ქუჩა) და კიკნაძის სავაჭროში (სახაზინო თეატრის პირდაპირ). საწყობი გრ. რცხილაძესთან, ოლღას შესახვ. № 5. 1141

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული

გვირგვინი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით, პ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.

ფასი 1 მანეთი.

სანატორიუმი „რუსული დავოსი“,

აბასთუმანში.

გულ-სუსტებისა, სისხლ-ნაკლულთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებით ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მეძროხობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მთვლით და სხვა თვეში 150—250 მ. ✦ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ **სანატორიუმის დირექტორს, ექიმს გ. მეგრაბიანცს, 1 მაისამდე** ქ. ტფილისში, ბებუთოვის ქ., № 23. 1 მაისის შემდეგ—აბასთუმანში. ზღვისზედაპირიდან 1278 მეტ. ტფ. გუბ.

ტელეფონი № 7—92. 1087

ახალი კლუბი

დღეს, 29 აპრილს, გაიხსნება ზაფხულის სეზონი

საოჯახო საღამო

(საზამთრო შენობაში),

შესდგება დიდი სიმფონიური ორკესტრის (60 კაცისაგან) **კონცერტი** ი. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

ადგ. ფასი პარტერში 50—10 კ. ბილეთ. აყიდება თეატრის კასაში. დაწვრილებით პროგრამებში. კლუბში შესვლისთვის სტუმარნი იხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ.

დასაწყ. საღ. სრულ 9 ს. 1155

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მიტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.
	მაღალაშვილი ბ. ბ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.
	მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1 ს.
	ფიდოროვი ი. გ. ყოველ დღე 11—12.
	ქიქაღაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოზიანი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.
	ფირალოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მირზოევა-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.
	თიკანაძე ი. მ. ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.
	ფიდოროვი ვ. ს. ყოველ დღე 11—2.
	ქიქაღაშვილი პ. ლ. ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ნერვიულ სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.
	ზონდოვი ვ ს. ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირის.	**ათინიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. სნ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1070

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.
მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.
პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.
ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.
ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.
სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.
მაჩაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914“ და „606“.

1023

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.
მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
ბრიუკნერი მ. ბ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.
ბინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606“, „914“.** 1088

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, კურთანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

1094

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება: დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.
ბელიაევი. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.
ბოგუცკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ. ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.
ერმოლაევა—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.
ვნუკოვი—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.
შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.
ახპიხოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.
რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.
კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ ორშ., ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.
ბაგდოევი—კბილ. იღებს ყ.-დღე დილის 10—11 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wassermann“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1082

ექიმთა საზოგადოების

სამკურნალო

მუდმივ საწოლებით.

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

ტელეფ. № 1026.

ავადმყოფების მიღება:

აგაჯანოვი მიხეილ — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროთერაპია, 11—12 ს.-დე.
ელჩიევი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.
ელჩიევი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობია. 12—1 ს.
კიმონტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.
მაგაქიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა, რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.

შეშხაპუნება „914“, „606“. 1040

ექიმი მ. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ამზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50.
1084

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელექტრულ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 ს.-დე. კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბების** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე. **უფასოდ.** ბებუთოვის ქ., 23. **ტელეფ.** № 7—92. 1516

ექიმი შ. ა. მიქელაძე
მიიღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ** ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ვასწავლი

ქართულ

„სიმღერა-გალობას“

და ვამზადებ მომღერლებს დიდ გუნდისთვის, სამშ., პარასკ. 5—7, მუშებისათვის კვირაობით 3—5 ს., ავჭალ. ქუჩა, № 29. მიღება და ჩაწერა მიხ. კავსაძესთან. 1180

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე.**
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი ს. გ. მამრაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება (**ქალთა და სამშობ. სნეულებანი**).
ავადმყოფებს მიიღებს ნაშუადღევის 1—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ვერის დაღმართი სახლი № 5. ბინა 5. 1244.

ექიმი ნიკოლოზ სვიმონის ძე ხერჩინოვი
(ნოვოროსიის საიმპერატორო უნივერსიტეტის კლინიკის ორდინატორი—დედათა და მშობიარეთა სნეულებისა) დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება მამა მისის ბინაზე, აფთიაქის ქუჩაზე. 1177

ქ. გორში
(დოქტორანტი).
ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი
ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი **გულისა, ფილტ.** და **სისხლის** სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1050

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1080

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12, იქვე **გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი** 1011

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. [illegible] ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ტფილისი, 29 აპრილი

ბრალდებული ბრალმდებლის ადგილზე. ყოველთვის ვამბობდით, რომ საქართველოს ეკლესიის ბედი მეტისმეტად ახირებულ და საკვირველ მდგომარეობაში იმყოფება. მთელი უზარმაზარ რუსეთის საზღვრებში არ მოიპოვება არც ერთი ეკლესია, არც ერთი სარწმუნოება, მწვალებლობა, ურწმუნოება, რომელიც ისე დევნილი, შევიწროვებული, აბუჩად აგდებული და გათახსირებული, უფლება და ღირსება აყრილი იყოს, როგორც ჩვენი ეკლესია არის. დღეს ყველას შეუძლიან ასე თუ ისე თავისუფლად ილოცოს, შეასრულოს მღვდელმოქმედება და იზრუნოს თავის სარწმუნოების საჭიროებისათვის, როგორც ამას სინიდისი ეუბნება და ეკლესია ავალებს.

მხოლოდ ქართველებისთვის არის აკრძალული ქართული წირვა, ქართული ლოცვა, ქართული ეკლესია. მხოლოდ ქართველებს არ შეუძლიანთ დაიცვან თავისი მრავალი საუკუნის განმავლობაში განმტკიცებული ივერიის ეკლესია; მხოლოდ ქართველებს ეთვლებათ დანაშაულად გამოსარჩლება თავის სარწმუნოებრივ ინტერესებისათვის. ყველას, ყოველს ჩვენს მეზობელს აქვს უფლება მოითხოვოს, რომ არავინ ძალა არ დაატანოს მის რწმენას, არავინ შეეხოს მის ისტორიულს სამკვიდროს, არავინ შეელახოს მისი თავისუფალი ნიჭის და კულტურის საგანძური. ჩვენ კი, ჩვენ უდიდესი დამნაშავენი ვართ იმისთვის, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანენი ვართ, რომ თავგამოდებით ვიბრძოდით ათას ხუთასი წლის სივრცეზე ჩვენი სარწმუნოებისათვის, რომ შევიმუშავეთ ამ სარწმუნოების საკუთარი ეროვნული სახე და გვინდა, დღესაც ხელუხლებელი იყოს და წმინდად დაცული ჩვენი ეკლესია, ჩვენი რწმენა!

დამნაშავენი ვართ იმიტომ, რომ მოვითხოვთ, ჩვენც გვქონდეს ის ელემენტარული უფლება, რომელიც აქვს ყოველ მოქალაქეს რუსეთში. ამას არ გვაკმარებენ და მწარედ დაგვცინიან კიდეც, როდესაც მოვიგონებთ ხოლმე ჩვენს შეურაცხყოფილს სარწმუნოებას, და სინი, რომელნიც წინ ეღობებიან ჩვენს ეკლესიის დამოუკიდებლობას და მის ავტოკეფალიის აღდგენას და რომელნიც ბრალდებულის სკამზე უნდა ისხდნენ, გამოდიან ბრალმდებლებად ჩვენსავე წინააღმდეგ და რისხვას და მეხს გვატეხენ თავზე იმისთვის, რომ ჩვენში მთლად არ გამქრალა სიმართლის გრძნობა და თავმოყვარეობის შეგნება!

აი დღესაც ვინმე „გოლოს კავკაზა“-ში ცხარე და მუქარით აღსავსე წერილს სწერს იმის გამო, რომ იმერეთის სამღვდელოებამ საჩივარი გამოუგზავნა ეგზარხოს'ს, რომელშიაც ბრალსა სდებენ რუსის ეგზარხოსებს და მთავრობას საქართველოს ეკლესიის დაცემისა და განადგურებისათვის. სამღვდელოების ქაღალდში აღნიშნულია თურმე, რომ ქართულ საყდრებს არა აქვთ საჭირო წიგნები, საუკეთესო ქართველი ეპისკოპოსები კირიონი და დავითი გაძევებულნი არიან სამშობლოდან, ქართველებისათვის განზრახ ნიშნავენ მღვდლებად არა ქართველებს, ქართულს საეკლესიო შენობებს ეპატრონებიან რუსები და სხვ. ერთის სიტყვით, თუ რუსულს გაზეთს დავუჯერეთ, იმერეთის სამღვდელოებას დაუწერია და მოუთხოვნია ის, რასაც მოითხოვს ყოველი გონიერი ადამიანი, ყოველი შეგნებული ქართველი, რომელიც ჰხედავს და ჰგრძნობს საქართველოს ეკლესიის დღევანდელს აუტანელს მდგომარეობას.

ოდნავად გასაკვირველი და არაჩვეულებრივი ქუთაისის სამღვდელოების ქაღალდში არა არის რა. გასაკვირველი ის აღშფოთება და გაბრაზება, რომელიც გამოუწვევია მათ „პეტიციას“ „გოლოს კავკაზა“-ს გარშემო შემოკრებილ რუსებში. როგორ გაბედეს, როგორ ხმა ამოიღეს, როგორ დასდეს ბრალი ვისმეო! ყვირიან ეს ვაჟბატონები, და სახრჩობლას უმზადებენ იმათ, რომელთაც სრული უფლება აქვთ ხმის ამოღებისა და ბრალდების წამოყენებისა. დიახ, ბ-ნნო გოლოსკავკაზელებო, ბრალდებით თქვენ უნდა მოგმართოთ და გითხრათ: დრო არის, ჩამოიხსნათ ნიღაბი; ნუღარ ჰხვევთ საქართველოს ეკლესიის საკითხს ბურუსში და ნუ გინდათ, რომ იგი იყოს თქვენი შეუწყნარებელი პოლიტიკის იარაღი; დრო არის, დაუბრუნდეს საქართველოს ეკლესიას თავისივე უფლება, რომლის ჩამორთმევის უფლება არავის არ ეკუთვნის. აქ ბევრის ლაპარაკი სრულიად უადგილოა.

ქართული პრესა

„ჩვენი ერი“ ახასიათებს რუსეთის 1914 წლ. ბიუჯეტს:

„1908 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 2,656 მილიონ მანეთს, 1909 წელს ბიუჯეტის ხსენებული რაოდენობა გაიზარდა 49 მილიონი მანეთით, 1910 წელს—60 მილიონით, 1911—345 მილიონით, 1912—577 მილიონით, 1913—900 მილიონით და თუ ამას ზედ დავუმატებთ იმ 307 მილიონ მანეთს, რომელიც მიმდინარე წლის გასავალს ემატება წარსულ წელთან შედარებით, გამოვა, რომ შვიდი წლის განმავლობაში ე. ი. 1908 წლიდან 1914 წლითურთ სახელმწიფო გასავალი გაზდილა 900+300 ანუ 1 მილიარდი და 200 მილიონი მანეთით. მერე საიდან იღებს მთავრობა ამ ფულს, შემოსავლის უმთავრეს წყაროს რა შეადგენს? უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო შემოსავლის დედაბურჯად ითვლება ეგრედწოდებული „რეგალიები“, რომელმაც მიმდინარე წელს 1,069,450,750 მანეთი უნდა მისცეს მთავრობას და, რომელშიც შედის, სხვათა შორის, რკინის გზათა შემოსავალი და ის 500 მილიონზე მეტი, რომელსაც ვიტტეს „გენიოსური“ საარაყო მონოპოლია იძლევა.

შემოსავლის მხრით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სახაზინო მამულებს — (1,111,805,142 მანეთი მიმდინარე წელს) და „ფარულს ანუ არა პირდაპირ გადასახადს, რომელმაც წელს 709,167,400 მანეთი უნდა მისცეს მთავრობას... მერე რაში უნდა დაიხარჯოს ის 3,558,261,459 მანეთი, რომელიც მიმდინარე წლის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის პროექტშია აღნიშნული? სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის ერთ მეოთხედს საზღვაო-სამხედრო სამინისტრო ნთქავს, რომელთაც წელს არა ნაკლებ 850 მილიონისა უნდა მიეცეს. თუ შემოსავლის უმთავრეს წყაროს საარყო მონოპოლები და სხვა ამგვარები შეადგენს, გასავლის უმეტესი წყარო სამხედრო საჭიროებათა დაკმაყოფილებაა; ასე რომ ბიუჯეტის პროექტის შემადგენელს ორი რამით შეუძლიან იამაყოს და სთქვას:—25 ათასი სახაზინო მაგარი სასმელით სავაჭრო დუქანი მაქვს და რამდენიმე მილიონი ჯარისკაცი მყავსო, თითქო სახელმწიფოს, ლოთობაზე ზრუნვისა და სხვა სახელმწიფოთა მიმართ აგრესიული პოლიტიკის წარმოების მეტი, სხვა საზრუნავი არაფერი ჰქონდეს.

საჭიროა ვიცოდეთ: როდესაც სახელმწიფო ფიზიკურად „თვითდაცვის საჭიროებაზე“, როგორც თვითონ გაიძახიან ბიუროკრატიის წარმომადგენელნი, ამდენს ხარჯავს, რაღას ანდომებს იგი ხალხის სულიერ საჭიროებას, სახელმწიფოს კულტურულად აყვავებას, ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას? თუ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მაშინ, როდესაც საზღვაო-სამხედრო სამინისტროს უწყებაზე 599,135,711+250,397,540 მანეთი იხარჯება, სახალხო განათლების სამინისტრო იძულებულია 161,629,322 მანეთით დაკმაყოფილდეს, ე. ი. იმის მეშვიდედით, რაც პირველ ორ უწყებას ეძლევა.:“

⁂

გაზეთი „თემი“ აღნიშნავს ქართველი ჟურნალისტების საზოგადოების საჭიროებას:

„ქართული პრესა უნდა შეადგენდეს ერთს მთლიან დაწესებულებას, სადაც სხვა და სხვა მიმართებულების წევრები მოიყრიან თავს (რასაკვირველია აქ ჩვენ მხოლოდ პროგრესიულ პრესაზე ვლაპარაკობთ). ამ დაწესებულებაში უნდა გროვდებოდეს ყოველგვარი მასალა ჩვენი სამშობლო ქვეყნის შესახებ, ირკვეოდეს კითხვები და სწყდებოდეს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დავაარსებთ **ქართველ ჟურნალისტთა საზოგადოებას**. ამ საზოგადოების დანიშნულება იქნება ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის, საზოგადოდ ჩვენი ხალხის ჭირ-ვარამის გამორკვევა და მის დახამებელ ზომებზე მითითება. ამისთანა საზოგადოების დაარსებაზე იყო ერთ დროს ჩვენში ლაპარაკი, მაგრამ მაშინ არსებობდა სხვა და სხვა ხელის-შემშლელი გარემოება. ახლა ეს გარემოებანი გაჰქრნენ. ბევრი რამ გაირკვა. ბევრი მაშინდელი გამოურკვეველი საკითხი ახლა ცხადი შეიქმნა. სხვა და სხვა ჟურნალისტები დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

იგივე საზოგადოება იზრუნებს აგრეთვე თვით ჟურნალისტის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

მხოლოდ ეს დაწესებულება გააფაქიზებს ჩვენში ბეჭდვით სიტყვას, აღუდგენს მას წინანდელ სიწმიდეს და მნიშვნელობას.

ამიტომ ჩვენი მოვალეობაა ვიზრუნოთ ამ საზოგადოების დაარსებისათვის. მივმართავთ ჩვენს პერიოდულ გამოცემებს მესვეურთ მიაქციონ ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება.

⁂

ჩვენ დასელებს არ ეყოთ მარტო ილია ჭავჭავაძე, რომლის წინააღმდეგ პროპაგანდის გაწევა ჯერ არ დაუმთავრებიათ. ხელი მიჰყვეს დიმიტრი ყიფიანსაც, რომლის ვინაობა მიწასთან გასწორეს ვინმე ირონარის მეთაურობით. ერთი ამგვარ დასელთაგანი მ. ო—ლი გაზ. „ფიქრში“ მოიგონებს რა ერთ ამბავს მოჯამაგირის საჩივრის შესახებ დ. ყიფიანთან ამბობს:

„თუ კი დ. ყიფიანი გატაცებული იყო სხვისი შრომის მითვისების—კერძოთ, ოჯახში, როგორი უნდა ყოფილიყო ის საზოგადო მოღვაწის როლში? რასაკვირველია ისეთი, როგორიც თავის ოჯახში. და აი ამის შემდეგ გეკითხებით ბბ. ვის გადაუხადოთ დღესასწაული? იმ დ. ყიფიანს, რომელმაც მოჯამაგირეების ფულები მიითვისა? იმ დ. ყიფიანს რომელიც წინ აღუდგა ბატონყმობისაგან განთავისუფლებას საქართველოში? იმ დ. ყიფიანს, რომელიც რუსეთის მთავრობისაგან მოითხოვდა ორასოცდაჩვიდმეტ თუმანს და ოთხ მანეთს თითო გლეხის ოჯახის პირადი განთავისუფლებისათვის? და ყოველივე ამისათვის ბ. ნაციონალისტებო გაქვთ უფლება დ. ყიფიანი ქართველი ერის მხსნელად დასახოთ? არა ბბ. ის თქვენი მხსნელი იყო და არა ქართველი ერის. ამიტომ შეგიძლიანთ მარტო თქვენ გადაუხადოთ მას დღესასწაული და მხოლოდ ერთად-ერთ თქვენ მხსნელად მონათლოთ ის.“

საბედნიეროდ ასე არ ფიქრობენ ყველა დასელები. მკითხველი უკვე იცნობს „ბათუმის გაზეთის“ ჯგუფის აზრს დ. ყიფიანის შესახებ, რომელიც არ შეიძლება არ გაიზიაროს ყოველმა შეგნებულმა ქართველმა.

დ. ყიფიანი ცოცხალი პიროვნება იყო, სცხოვრობდა განსაზღვრულ პირობებში და როგორც ასეთს ნაკლიც ჰქონდა და ღირსებაც. ხოლო ძალად იბრმავებს თავს ის, ვინც ნაკლის გამო არ ხედავს მის დიდ ღირსებას და სამსახურს.

სომხური პრესა

„ჰორიზონი“ მე-89 ნომერში სწერს:

„მიუხედავად იმისა, რომ „სახალხო გაზეთი“ დღემდის თავს იკავებდა სომხის ერის ყოველივე უსაფუძვლო დევნისაგან და პირიქით ხანდახან ესარჩლებოდა მას „კლდის“ უხეში იერიშისაგან მან მოათავსა თავის ფურცლებზე წერილი გ. ბარელისა, რომელიც გაჟღენთილია შეუსაბამო ტენდენციებით. წერილი ეხება სიღნაღში მომხდარ უკანასკნელ არჩევნებს. მართალია, ათი წლობით ზედიზედ ქალაქის თვითმართველობის ბედ-იღბალი განსაკუთრებით სომხების ხელში იყო, ამის მიზეზი არის, რომ უმეტესი ნაწილი ცენზიანი ქართველი მემამულეებისა ძრიელ ნაკლებ იყვნენ დაინტერესებულნი საკითხებით, რომლებიც-კი ქალაქის თვითმართველობას ეხებოდა, და ამ მიზეზით სომხების ცენზის მქონე პირებმა შეადგინეს ამრჩეველთა უმრავლესობა. დღეს ქართველ ინტელიგენციას და მწერლობას ძლიერისურვილი აქვთ გარდაქმნან მათთვის არა ხელსაყრელი პირობები, მაგრამ მათ გარემოება ხელს არ უწყობს. ათი დღის წინად მომხდარ ჩვენებაზე გამარჯვებული კვლავ დარჩნენ სომხები... ამ გარემოებით ძრიელ აღელვებულია ბ. ბარელი და მზად არის მიზეზი მათი დამარცხებისა სავსებით მიაწეროს სომხის ერს, და ვითომდა მისგან შექმნილ არევ-დარევას. 550 ცენზიან ქართველებს მიეცათ ნება ექვსი ხმოსნის არჩევისა, მაშინ როდესაც 375 სომეხს ცხრისა, რომელნიც სუყველა სომხები არჩეულ იქმნენ.

და ამგვარს საქციელს სომხებისას ბ. ბარელი უწოდებს „ცხადათ დაცინვას“ და „შოვინიზმს“, ვითომ და ბრძანება არჩევნების შესახებ მათ მიეღოთ „სხვა ქვეყნიდგან“... გასაკვირალია—ამბობს წერილის ავტორი, ის გარემოება, რომ ყოველივე დაწყებულება სომხებისა გაჟღენთილია ერთი და იგივე სულით!!...

ძრიელ სამწუხაროა, რომ „სახალხო გაზეთმა“, კვლავ დაიწყო მოთავსება თავის ფურცლებზედ ისეთი წერილების, რომლებიც იწერებიან ყოვლად უმგვანო პირთა გავლენით“.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

26 აპრილის სხდომა.

პირველად **როძიანკო** თავმჯდომარეობს მერე **ვარუნ-სეკრეტი**.

ბიუჯეტის შესახებ საერთო კამათი გრძელდება. **ტიტოვი** საათ-ნახევარს ლაპარაკობს. მისი აზრით, რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა საერთაშორისო ბაზარზე მტკიცე და სასურველი არ არის. ამასთანავე მთავრობა ერთის მხრით ამბობს, ადგილობრივ ძალებთან ერთად მინდა მოვქმედებო, მაგრამ ამავე დროს დეპუტატებს სიტყვის თავისუფლებას უზღუდავს. მთავრობამ უნდა დაამტკიცოს, რომ მას მართლა ჰსურს გულწრფელი და სერიოზული მუშაობა სათათბიროსთან ერთად (ტაში მარცხნივ).

მიიღეს წინადადება ორატორების რიცხვი ოთხამდის შეამცირონ,

ნაციონალური საქმე და კადეტების ტაქტიკა

„რუსსკია ვედომოსტის“ № 89-ში დასტამბულია წერილი უკრაინის ცნობილის მოღვაწის მიხ. ლოზინსკისა; წერილი მიმართულია რუსეთის ინტელიგენციისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა იმ ჯგუფისადმი, რომელიც თავს იყრიან კადეტთა გარშემო. ლოზინსკი ეკითხება მათ: გვითხარით, როგორ ეპყრობით იმ მოღვაწეობას ზოგიერთ პირებისას გალიციაში, რომელთაც მიზნადა აქვს უკრაინელების გარუსებაო, გვითხარით, რას ნიშნავს კადეტთა პარტიის ცნობილი წევრის ვას. მაკლაკოვის წერილი, რომელიც თანაგრძნობით ეკიდება ამგვარ პირებს, რომელთა ტენდენციის გამომსახველია „პრიკარპატსკაია რუსი“ და, რომელიც ყოველ უკრაინელს მიაჩნია საეროვნო ღალატად და უკრაინელთა ეროვნების დამღუპველ პოლიტიკადაო? ბ. ლოზინსკის წერილის კილო სრულიად ღირსეულია, გაბედული ხანდისხან მწარეც. „რა საკვირველიაო“,—ასე ამთავრებს ბ. ლოზინსკი თავის წერილს—„ამგვარ თუ იმგვარ განწყობილებას რუსეთის საზოგადოებისას უკრაინელთა საკითხის შესახებ არ ექნება გავლენა უკრაინელთა ნაციონალურ აზრის არსებობაზე, ვინაიდანამ აზრის მატარებელნი თავის ეზოს არ გადასცდებიან, მიუხედავად მისა თანაგრძნობას მოიპოვებენ თუ მტრულ განწყობილებას გამოიწვევენ რუსეთის საზოგადოების ამა თუ იმ წრეებში. ხოლო რუსთა და უკრაინებმა შორის განწყობილების გამოსარკვევად კი საჭიროა იცოდეს უკრაინელმა, ვინ უნდა მიიჩნიოს რუსთა შორის მტრად და ვინ მიიჩნიოს მოყვარედო“.

საკითხი ნათელია, მეტად სიმპტომატიური და მნიშვნელოვანი. უკრაინელ ნაციონალურ იდეის საუკეთესო დამცველნი დიდიხანია უკმაყოფილებას აცხადებენ რუსის პროგრესიულ ნაწილისადმი, იმის გამო რომ უკრაინელთა საკითხის დედა-ძარღვი აბუჩადა აქვთ აგდებული და საზოგადო ფრაზებით უმასპინძლდებიან მათ კანონიერ მოთხოვნილებებს. დღევანდლამდის ამას არ ჰქონია ისეთი ცხარე სახე, დღეს კი ჰგავს, მოთმინების საწყაო აღევსო უკრაინელთ და უფრო რადიკალურად უნდათ დაუყენონ საკითხი რუსეთის პროგრესიულ საზოგადოებას და მათგან გადაჭრილი პასუხი მიიღონ.

„რუსსკია ვედომოსტი“ ჩვეულებრივის ლათაიებით უმასპინძლდება ბ. ლოზინსკის. ამ პასუხში მედიდური კილოც კი გაისმის, სწორედ ასეთი, როგორიც გორემიკინის „ინტერვიუებში“, როცა იგი ეხება სათათბიროსა და მთავრობის ურთიერთობას.

ლოზინსკიმ „შეკითხვით“ მოგვმართა და შეკითხვას ფრჩხილებში სვამს ე. ი. გასაკვირვლად მიაჩნია, რომ ლოზინსკი კისრულობს ამგვარის შეკითხვით მიჰმართოს ძლევამოსილ რუსეთის საზოგადოებას, აღჭურვილს სახელმწიფო უფლებათა სრულყოფითა და ავტორიტეტით. ამნაირის ეს „არა სრულებით ჩვეულებრივის „შეკითხვის“ ჩვენ გვიკვირს რა ეჭვი უნდა შეპაროდა მიხ. ლოზინსკის ჩვენის პოზიციის შესახებ, როცა ყველამ იცის, როგორ ვეპყრობით ყოველგვარ რეპრესიებს, რომლებსაც აზრადა აქვს ნაციონალურ-კულტურული მოძრაობის შეზღუდვა—**რა რიგიც უნდა იყოს ეს მოძრაობაო**“ (ხაზი გაზეთს ეკუთვნის).

„ჩვენ ვაღიარებთ სრულის თავისუფლების მიუცილებლობას უკრაინელთა კულტურულ განვითარებისთვის, ისე როგორც ყველა სხვა ხალხოსნობისათვის. ამ თავისუფლების დამცველი ვიყავით ყოველთვის და ვიქნებით მუდამ ჟამს ჩვენის გაზეთის ფურცლებზედა“ და ამ თავისუფლების აღსარების ლოღიკური დასკვნათ ის, რომ ჩვენ მიგვაჩნია ადამიანის ხელშეუხებელ უფლებად ილაპარაკოს იმ ენაზედ და განავითაროს ის ნაციონალური კულტურა, რომელიც მას მოსწონსო. ამიტომაც ვიცავთ რუსსოფილებს ანუ „მოსკვოფილებს“ გალიციაში, თუმცა მათ უკრაინაში რუსული კულტურის გაძლიერება სწადიანთო. ბ. ლოზინსკის გადაჭრილ საკითხს „რუსსკია ვედომოსტი“-მ მეტად გაურკვეველი და დაბლანდული პასუხი გასცა.

უპირველესად „ნაციონალურ კულტურული“ მოძრაობის თავისუფლების აღიარება დღევანდელ პირობებში ვერავის დააკმაყოფილებს გარდა სამიოდე სექტანტისა და ორიოდე „ზომიერისა“. ნაციონალურ საკითხს რუსეთის პროგრესიულმა ინტელიგენციამ უფრო ფართო, უფრო გადაჭრილი, უფრო პოლიტიკურად მომწიფებული პასუხი უნდა გასცეს. რა არის თავისუფლება „ნაციონალურ-კულტურულის“ მოძრაობისა, როგორც ეს ესმით „რუსსკია ვედომოსტის“ ადეპტებს, ეს არის თავისუფლება თავის ენაზედ ლაპარაკისა, თავის ენაზედ წერისა, თავის ენაზედ პირველდაწყებითის განათლების მიღებისა (უკეთეს შემთხვევაში ყოველგვარ განათლების მიღებისა). კი მაგრამ ეგ თავისუფლება ყინულზე დაწერილი გახლავთ, თუ მისი სისრულეში მოყვანა არ იკისრა რომელიმე სახელმწიფოებრივმა ინსტიტუტმა. თუ ერს არ ექმნა თავისი საკანონმდებლო დაწესებულება, თავისი აღმასრულებელი ორგანო, თუ არ ექმნა უფლება ბიუჯეტის თავის ნებაზედ შედგენისა და განაწილებისა, თავისუფლება „ნაციონალურ-კულტურულ“ განვითარებისა იქნება ყინულზედ დაწერილი უფლება. დედა ენაზედ თავისუფლად ლაპარაკი შეუძლიან მას, ვინც ყოველგვარ სწავლა-განათლებას (დაბალს, საშუალოს, უმაღლესს) დედა ენაზედ მიიღებსო. სწავლა-განათლების მოწყობის საქმეს კი უნდა დიდი ხარჯი, რომელიც შეუძლიან გასწიოს სახელმწიფოებრივმა ინსტიტუტმა; სავსებით დაკმაყოფილება ნაციონალურ კულტურის განვითარებისა შეუძლიან ნაციონალურ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს. როდესაც უკრაინელები მიჰმართვენ ხოლმე კადეტებს და მსგავსს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ჯგუფებს, პასუხი გვიგეთ რა აზრისა ხართ უკრაინელთა საჭირ-ბოროტო საკითხის შესახებ—იმას კი არა ჰკითხვენ, რა აზრისა ხართ, სამზარეულოში უკრაინულ ენის ხმარების შესახებ, არამედ გარკვეულ პოლიტიკურ დილემას უყენებენ გადასაწყვეტად და ამაზე ელიან პასუხს. ამიტომაც ლოზინსკის საკითხზე „რუსსკია ვედომოსტი“ ვალდებული იყო ეთქვა: დიაღ, ჩვენ ჩვენის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის უმთავრეს პრინციპად მიგვაჩნია უკრაინელთა, ისე როგორც სხვა განაპირა ქვეყნებისთვის, იმნაირი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის შემოღება, რომელიც სავსებითა და ერთთავად გადასჭრის ყოველგვარ მათ საჭირბოროტო საგანსაო. ისეთი ნასუფრალით კი, როგორიც არის თავისუფლება „ნაციონალურ-კულტურული“ განვითარებისა, რომელიც არსებითად განყენებული და გაყინული თავისუფლებაა ვეღარავის ვერ დააკმაყოფილებს დღეს რუსეთის მოწინავე საზოგადოება.

არის ერთი საკამათო საგანიც, ბ. მიხ. ლოზინსკისაგან აღძრული, რომელიც „რუსსკია ვედომოსტიმ“, თუ შეუბლოვანად არა, უცნაურად გადასჭრა. ჩვენ მომხრენი ვართ ყოველ ის ერის წევრმა ის ნაციონალური-კულტურა განავითაროს, რომელიც მასა სწადიახო და ამიტომ გალიციელ „მოსკვოფილებს“ თანაგრძნობით ვეკიდებითო. ეს საგნის ჩახლართვაა და არა გამორკვევა. უეჭველია დღევანდელი პოლიტიკა გალიციელ „მოსკვოფილებისა“ უაღრესად რეაქციონურია და უაღრესად მავნებელი უკრაინელ ეროვნებისათვის. ეს იქიდანაცა სჩანს, რომ ამ ორგანიზაციას მხურვალე მფარველობას უწევენ რუსის რეაქციონერები, გრაფ. ბობრინსკი და ძმანი მისნი. გალიციის „მოსკვოფილები“ უკრაინელთა გარუსების პოლიტიკას ემსახურებიან — აქედან თავისთავად ცხადია უკრაინელები, რომელთაც თავიანთი ეროვნული სახის დაცვა ჰსურთ დიდის უარყოფით ეკიდებიან ამ არამკითხე ვაჟბატონების საქციელს. თავისთავად ცხადია ყველანი ვინც თანაგრძნობით ეკიდებიან უკრაინელთა ნაციონალურ აზრის გამომსახველთ, უარყოფით უნდა მოეკიდნენ გალიციის „მოსკვოფილებს“. „რუსსკია ვედომოსტი“ და ბ. მაკლაკოვი კი „მოსკვოფილებს“ თავისს უმაღლესს მფარველობას უწევენ და ხელს სჭიდებენ „ყოველი ადამიანის ხელუხლებელ უფლებას ილაპარაკოს იმ ენაზედ და განავითაროს ის ნაციონალური კულტურა, რომელიც მას ეპიტნავებაო“. ეს სიტყვის ბანზე აგდებაა და ამგვარი ორჭოფული მოქმედება რუსეთის პროგრესიული ინტელიგენციისა სხვას არას გვიჩვენებს, თუ არ მას, რომ იგინი უარყოფით ეკიდებიან განაპირა ქვეყნების პოლიტიკურ საკითხს—ეს კადეტთა კონფერენციამაც დაგვიმტკიცა — ხოლო სრულს თავისუფლებას გვიწყალობებენ „სამზარეულოსა და სამრეცხაო ოთახში“ თავის ენაზედ ლაპარაკისას. „მოსკვოფილების“-ადმი სიმპატია გალიციაში იმგვარივე ჯურის არის, როგორიც არის თავზედ ხელის გადასმა ექსტერიტორიალურ ეროვნებათა (ებრაელებისა და სომხების) იმიტომ, რომ იგინი იმ განაპირა ქვეყნების ეროვნებათაა პოლიტიკურ იდეალს უარყოფით ეკიდებიანო, რომელთაც აქვთ თავისი ტერიტორია (პოლონელებს, უკრაინელებს, ქართველებს). აკი იგივე „რუსსკია ვედომოსტი“ ქებით იხსენიებდა სომხებს, იმიტომ რომ იგინი წინააღმდეგნი არიან ქართველების საეროვნო პოლიტიკურის იდეალისაო. ხოლო ერთი ფრიად რადიკალური ჟურნალი იმავე წრეების სიმპატიით ეკიდებოდა ებრაელების მოღვაწეობას პოლონეთში, რომელიც მიმართულია პოლონელების პოლიტიკურის იდეალის განხორციელების წინააღმდეგ. ამგვარი ერთი მხრით თაღლითი პოლიტიკური საქციელი „რუსსკია ვედომოსტისა“ და მისი პოლიტიკური თანამოაზრეებისა არას მოასწავებს, თუ არ მას, რომ ერთის მხრით მათ აკლიათ პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და მეორეს მხრით ჰგონიათ, რომ განაპირა ქვეყნების საეროვნო იდეალები ორიოდე ფანტაზიორის შემოქმედების ნაყოფია და არა ცხოვრების პროცესის ღრმად ნაკარნახევი მოთხოვნილება. როცა დარწმუნდებიან მაში, რომ განაპირა ქვეყნების მცხოვრებნი თავიანთ მოთხოვნილებებს ერთსულ და ერთგულ ემხრობიან, როგორც ეს პოლონეთში მოხდა, იგინი უფრო გადაჭრილ და ნათელ პასუხს მისცემენ მიხ. ლოზინსკისაგან წამოყენებულ სიტყვებს. მანამდის კი ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პატივცემულ უკრაინელ მოღვაწეს ლოზინსკის და ჩვენს წერილს ზოგან შეცვლილის მისი სიტყვებით ვამთავრებთ: ამგვარსა თუ იმგვარ განწყობილებას რუსეთის საზოგადოებისას განაპირა ქვეყნების ეროვნებათა საკითხის შესახებ არ ექნება გავლენა ამ ეროვნებათა ნაციონალურ აზრის არსებობაზედ, ვინაიდან ამ აზრის მატარებელნი თავისს გზას არ გადასცილდებიან, მიუხედავად მისა, თანაგრძნობას მოიპოვებენ თუ მტრულ განწყობილებას გამოიწვევენ რუსეთის საზოგადოების ამა თუ იმ წრეებში. ხოლო რუსეთის კეთილდღეობა და ბედნიერება კი დამოკიდებულია იმაზედ, რომ განაპირა ქვეყნების საკითხი ერთხელ და საბოლოოდ გადაჭრილ იქმნეს ისე, როგორც ამას მოითხოვს განაპირა ქვეყნის მცხოვრებთა არსებობა და კეთილდღეობა. მისი გვერდის ახვევა პრტყელ-პრტყელი, უსიცოცხლო განყენებულის ფორმულებით კაკამალულობის თამაშობაა, რაცა არ ეპატივება იგი სერიოზულ და პროგრესიულ ჯგუფს, რომელიც გარს ახვევია „რუსსკია ვედომოსტის“, „რეჩს“ და კადეტთა პარტიას.

იმ.—ამ.

ეროვნული

შეჩკოვი ამბობს, ბიუჯეტის კრიტიკა მხოლოდ ანტიმილიტარისტული თვალთახედვით სწარმოებს, რაც მემარცხენეთა პატრიოტულ გრძნობას არ ამტკიცებსო. ორატორი სათათბიროს უსაყვედურებს, ბიუჯეტის განხილვას ყოველთვის აგვიანებთ ხოლმე, რაც ხაზინას 40 მილიონ ზარალს აძლევსო. ორატორი ათავებს სურვილით, რომ შემდეგი ბიუჯეტები ადრე ირჩეოდესო.

მილიუკოვი შეეხო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მისალმებასა და პოლიტიკური მდგომარეობის იმ შეფასებას, რომელიც ამ მისალმებით ხასიათდება. ის ადარებს სხვა პრემიერ-მინისტრებისა და თვით გორემიკინის 1906 წლის დეკლარაციას ახლანდელს სიტყვასთან და ამბობს, მაშინ მთავრობა მხოლოდ თავს იცავდა, ეხლა კი მას იერიში მოაქვსო. ეხლანდელმა პრემიერმა გამოუცხადა სათათბიროს თავისი კეთილგანწყობილება იმ პირობით, რომ მისი წევრები კანონის მიერ შემოფარგლულ თავიანთი მოვალეობის საზღვრებს არ გასცილდებიან, და არც კი მოითხოვენ იმითი უფლებები. თუ სათათბიროს სტატუს-კვოს დასაცავად მოიწვევენ, უნდა ვიკითხოთ მაინცა, როგორ ესმის მათ ეს სტატუს-კვო. ორატორს ფაქტები მოჰყავს, რომლებიც ჰმოწმობენ რუსეთის კონსტიტუციის სრულიად მოსპობას. ხალხის წარმომადგენლისა ძირითადი უფლებების მოსპობა უნდათ, უნდათ მოსპონ შეკითხვების უფლება, უფლება საკანონმდებლო ინიციატივისა, დეპუტატების ხელშეუხებლობა და პარლამენტარული სიტყვების თავისუფლება, რაც უჩვენებს, რომ მთავრობას აზრადა აქვს იმ გვარი საქმეების მოხდენა, რაც მთელს სახელმწიფოს საფრთხეში აგდებს, მეტადრე საერთაშორისო ახლანდელ მდგომარეობის დროს. ამგვარი პირობების გამო კ. დ. წინადადებას აძლევენ სათათბიროს ბიუჯეტის ცალკე მუხლებისა და პარაგრაფების განხილვა უკუაგდოსო. (ოპოზიციის ხანგრძლივი ტაში).

საერთო კამათი ბიუჯეტის შესახებ გათავდა. საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელი **რუევსკი** დასკვნას უკეთებს მთელს კამათს და ამბობს, რომ აქ წარმოთქმულ სიტყვების უმრავლესობას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. საბიუჯეტო კომისიასა და თვით სათათბიროსთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფინანსთა ახალი მინისტრის მომავალი მოქმედების პროგრამის გაცნობას, მაგრამ სამწუხაროდ მინისტრმა თავის სიტყვაში არ აგვიხსნა, თუ როგორ ჰსურს შემდეგ შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა, რას უნდა ემყარებოდეს იგი, როგორ უნდა შეავსოს დეფიციტები. მომხსენებელი მოაგონებს, რომ გარეშეთა დაუსწრებლად მომხდარმა კრებამ გადასწყვიტა 110 მილიონის მანეთის ხარჯი, ეს ჯამი კი საბიუჯეტო კომისიას სახეში არა ჰქონია. შემდეგ ეს ჯამი უფრო გადიდდება. არის კიდევ სხვა ხარჯებიც. ამ გვარ პირობებში წამოაყენებენ ახალ გადასახადების საკითხს. დასასრულ მომხსენებელი ამბობს, რადგანაც კომისიის მოხსენების წინააღმდეგ არსებითად არაფერი თქმულა, ამიტომ კომისიის ყველა დასკვნა მივიღოთო. (საერთო ტაში).

166 ხმის უმეტესობით 72 წინააღმდეგ სათათბირომ მიიღო ცალკე მუხლების განხილვა.

შემდეგი სხდომა ორშაბათს მოხდება.

სახელმწიფო საბჭო

26 აპრილის სხდომა.

გოლუბევის თავმჯდომარეობით ირჩევა სახელმწიფო სათათბიროსაგან მიღებული კანონ-პროექტი საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი პურზედ გადასახადის დადებისა.

შებეკო. კანონ-პროექტი შექმნა საჭიროებამ, რომ გერმანიიდან შემოტანილი პურისგან დასავლეთი სახელმწიფოს მხარე გავანთავისუფლოთო.

კარპოვი. კარგი იქნება ბაჟი გავადიდოთ, რადგანაც 30 კაპ. ცოტააო.

ვაჭრობის სამინისტროს საბჭოს წევრი **ლანგოვოი** განმარტავს, ეს კანონი იმ მოსაზრებით შექმნილა, რომ არავითარი საჭიროება არ იყო რუსეთისთვის, გერმანიიდან პურის შემოტანაო.

საბჭო გადავიდა კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაზე და კანონ-პროექტი სათათბიროს რედაქციით მიიღო.

განაგრძობენ სახალხო სიფხიზლის მზრუნველობის კანონ-პროექტის განხილვას. მუხლობრივ განხილვაზე გადასვლა ერთხმად მიიღეს. საბჭომ ამ კანონ-პროექტის მუხლობრივი განხილვა ვერ მოასწრო და შემდეგი სხდომისთვის გადასდო.

შემდეგი სხდომა 28 აპრილს მოხდება.

დეპეშა

ქუთაისი.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

პ. გელეიშვილის ლექციამ ილია ჭავჭავაძეზე დამსწრე საზოგადოებასა და მოსწავლე ახალგაზრდობაში დიდი აღელვება და პროტესტი გამოიწვია. დიდებული ადამიანის დაუსრულებელმა ცილისწამებამ საზოგადოებას მოთმინების ფიალა აუვსო. ლექციის დროს ასტყდა დემონსტრატიული სიმღერა „ტყესა სცვივა ფოთოლი..: მამულო უბედურო რად მოჰკალი ილია“. იძულებული იყვნენ ლექცია შეეწყვიტათ.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **წმ. თამარ მეფის დღესასწაული.** 1 მაისს დიდუბის ეკლესია, სადაც ასვენია წმ. თამარ მეფის ხატი, უქმობს წმ. თამარ მეფის დღესასწაულს.

◆ **კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის** აქციებზე ხელის მოწერა გაგრძელდება კიდევ ორ დღეს. უკვე ხელის მოწერით შეგროვდა 3 მილ. მანეთამდის. საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო ტელეგრამმით თხოვნა სოხუმის ვაჭარ მრეწველთაგან, რომ მიიღონ ახალი ბანკის დამფუძნებელ წევრებად იქაური ცნობილი კომერსანტები: რაფიელ იოს. გოკიელი, ქრისტ. კონსტ. სამურიდი, ნიკ. ალ. სიმონოვი, ტიმ. ივ. ბნუა და გიორ. თედ. ზოგრაფოპულო (ამათში ორი ქართველი და 3 ბერძენი). საორგანიზაციო კომიტეტმა გუშინ დაადგინა, რომ აღნიშნული პირები მიღებულ იქნენ დამფუძნებელ წევრებად. იმედი აქვთ, რომ მარტო სოხუმის ოლქიდან შემოვა ნახევარი მილიონი მანეთი.

◆ **მეფის მოადგილე** გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი მეუღლითურთ 7 მაისს ყირიმს მიემგზავრება. იქიდან წავა თავის მამულში, ტამბოვის გუბერნიაში. ტფილისს დაბრუნდება სექტემბრისათვის.

◆ **საბავშვო დილამ,** რომელიც 27 აპრილს ქართულ თეატრში გამართა ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოებამ, მეტად კარგად ჩაიარა. დილას დიდ-ძალი ბავშვობა დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა.

◆ **რაუტი დიდის მთავრის პატივსაცემლად.** 26 აპრილს, საღამოს, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობამ ქართულ თეატრში რაუტი გამართა ტფილისში მყოფ დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის პატივსაცემლად. თეატრის შესასვლელი, აგრეთვე თვით სათეატრო დარბაზი საგანგებოდ მორთული იყო. რაუტის პროგრამა შემდეგი იყო: 1) მარში, 2) „სინათლე“ ზღაპარი—ფეერია პირველი და მეორე სურათი, 3) ცოცხალი სურათი: „ვეფხის ტყაოსნის“ მიძღვნა, 4) საკონცერტო განყოფილება: „სამშობლო“—ხორო და ორკესტრი, „ნანა“—ხორო, „გოგონა“ (საცეკვაო) ხორო და ორკესტრი; სოლო: ივ. სარაჯიშვილი და იოსებ ტომაშევიჩი, 5) ცოცხალი სურათი: წმ. ნინო თამარ და ქეთევანი და 6) ცეკვა: ლეკური და აბხაზური. რაუტს დიდის მთავრის გარდა დაესწრნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა და თავად-აზნაურობის უმაღლესი წარმომადგენლნი.

◆ იმ მეჯლისის (რაუტ) მეორე დღეს (კვირას 27 აპრილს), რომელიც გამართა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ **დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს** ძის ტფილისში ყოფნის აღსანიშნავად, მისი **იმპერატორებითი უმაღლესობა** სადარბაზოდ ბძანდებოდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლ თ. კ. ნ. აფხაზთან.

◆ **მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტს** აცნობებენ: უკანასკნელმა ყინვებმა რამდენადმე აზარალა ვენახები მდინარე ქსნის ხეობა, განსაკუთრებით დაბლობი ადგილები; უფრო საგრძნობლად ვენახები გააფუჭა 23 აპრილის რთვილმა ხიდისთავსა და ატენში, სადაც მოსპო მოსალოდნელ მოსავლის ერთი მეოთხედი მაინც. ამ რაიონში გაზაფხულის მუშაობა თითქმის მოთავებულია და ჩქარა შეუდგებიან ვაზების პირველ წამლობას. მცხოვრებთა გასაწვრთნელად ვაზების წამლობაში მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტი მაისში მოაწყობს საჩვენებელ ადგილებს, სადაც ინსპექტორები ხალხს შეასწავლიან ვაზის წამლობის საშუალებებს.

◆ **ამიერ კავკ. რკ. გზ. უფროსის ახალი განკარგულება.** რკინის გზათა სამმართველომ ახალი განკარგულება გამოაქვეყნა სამხედრო პირთა მეორე კლასით მოგზაურობის შესახებ. ამ განკარგულების ძალით ჩქარი მატარებლით მოსიარულე ოფიცრებს დამატებით ფასს გამოართმევენ, თუ იგი მოგზაურობს 1 კლასის ვაგონით 2 კლასის ღირებულებისას, თუ მეორე კლასით მოგზაურობს 3 კლასის ღირებულებისას. დამოკიდებულება არ ექნება იმის ჩვეულებრივი ვაგონით მოგზაურობს, თუ საერთაშორისო საძილო ვაგონით. ვაგონის საძილო ადგილებში ოფიცერს იმ კლასის ღირებულება გადახდება, რომლითაც მიდის.

◆ **მომღერალ-მგალობელთა გუნდი** მიხ. კავსაძის ლოტბარობით მოკლე ხანში კონცერტებს გამართავს ერევანსა, გუმბრსა და ყარსში.

◆ **ტრამვაის** დირექცია ქალაქის გამგეობამ კიდევ დააჯარიმა 32,768 მანეთით, რადგანაც 1 დეკემბრიდან 27 მარტამდე ქალაქში ტრამვაის ვაგონთა საკმარისი რიცხვი არ მუშაობდა.

◆ კვირას, 27 აპრილს, ქართულს თეატრში ორი წარმოდგენა იყო: დილით—საბავშვო დილა, რომელსაც დაესწრო აუარებელი პატარა მაყურებელი, საღამოთი წარმოადგინეს „სინათლე“ ი. გედევანიშვილის. თეატრი კვლავ სავსე იყო ხალხით.

◆ რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალი „სასოფლო გაზეთი“ № 13) შემდეგის შინაარსით: ზეთის ხილის დამყნით გამრავლება, ალ. შარაშიძისა. ცოტა რამ სასოფლო დებულებაზე, გლეხისა. სამკურნალო წამლები, ექიმისა. ბუნების უმთავრესი მოვლენები (თარგმანი). ფელეტონი. დაჰკარ გრდემლზე!.. (ლექსი), რვილი. წერილი სოფლის მუშას ჯანმრთელობის შესახებ, ექ. ლოსაბერიძისა. მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ, ყ. ჩხეიძისა. ქრონიკა. წერილი სამეგრელოდან, ტ. კალანდარიშვილისა. მოსწავლეებს, გ. შ. ჩვენს მეაბრეშუმეებს, ნ. შ. რამ გაამდიდრა მეურნეები დანიაში, (კლდე). ჟურნალ-გაზეთებიდან. ჩვენი ფოსტა. მევენახეთა საყურადღებოდ. რედაქციისაგან. განცხადებანი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება დანიშნულია დღეისთვის მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად.

◆ **ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლ კავკასიის საზოგადოების** უმთავრეს საზრუნავს 1913 წლის განმავლობაში შემდეგი შეადგენდა: 1) წინ წაწევა აბასთუმანის სანატორიის შენობის აგების საქმისა. სასურველი ბოლო უკვე უჩანს ამ საქმეს, რომელიც ჯდება 213,000 მან., 2) წესიერი დაყენება საქმისა ტფ. ამბულატორიაში, რომელიც ამ ჟამად შვიდს ოთახშია მოთავსებული, 3) სასკოლო ასაკის ბავშვთა გაგზავნა საზაფხულო ახალშენში და 4) ექსპონატებისა და კოლექტივის გამოფენა. 1913 წელს გვირილობამ საზოგადოებას მისცა ტფილისში 14,658 მან. 73 კ. სხვა და სხვა ქალაქიდან მოუვიდა საპროცენტო გადასახადი ამავ დღესასწაულისა 16,295 მან. 43 კ. ჭლექიანთა ამბულატორიისთვის 11,582 ჯერ მიუმართავთ. ამათში ჭლექიანი იყო სულ 395. საზაფხულო ახალშენში საზოგადოებამ 1913 წელს გაჰგზავნა 49 ბავშვი: 22 ვაჟი და 27 ქალი.

◆ **უძრავ ქონებათა ცეცხლისაგან დამზღვევ ტფ. საზოგადოების** წევრთა წლიური კრება მოკლე ხანში იქნება მოწვეული (ეს საზოგადოება ეკუთვნის ტფ. ქალაქის თვითმმართველობას). კრება განიხილავს საზოგადოების 1913 წლის მოქმედების ანგარიშს, მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვას და აირჩევს თანამდებობის პირთ. 1913 წლის მოქმედების ანგარიშიდან სხვათა შორის, შემდეგი სჩანს: 1913 წლის 1 იანვრისთვის საზოგადოებაში დაზღვეული ყოფილა სხვა და სხვა ქონება 26.611,975 მანეთად, ხოლო 1914 წლის 1 იანვრისთვის—1,375 ქონება 25.647,685 მანეთად. საანგარიშო წელს 57 ქონებას გაჩენია ცეცხლი და საზოგადოებას დასაზღვევ ჯილდოდ მათის პატრონებისთვის მიუცია 28,628 მან. 11 კ. 1913 წელს 178 მანეთით ნაკლები დახარჯულა იმაზე, რაც ხარჯთ-აღრიცხვაში იყო აღნიშნული. 1913 წლის 1 იანვარს სათადარიგო თანხა უდრიდა 355,490 მან. 12 კ. წლის განმავლობაში მოგება დარჩენია 7.494 მან. 64 კ., რომლითაც 1914 წლის 1 იანვარს სათადარიგო თანხა გამხდარა 362,984 მან. 76 კაპ.

ქუთაისი

◆ დამშეულთა დახმარების საქმე ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრებში მთავრობის კომიტეტის მიერ ასეთ მდგომარეობაშია: გურიას უნდა მისცემოდა დამშეულთათვის 140 ათასი ფუთი, მიუღია 120 ათასი, მისაღებია 20 ათასი.

დამშეული რაიონები ითხოვენ თურმე მიღებული სიმინდის გარდა 100 ათას ფუთ ზედ-მეტ სიმიდს.

ქუთაისის მაზრაში სამტრედიის საზოქაულოში 100 ათასი ფუთი სიმინდიდან ჯერ არაფერი მიუღიათ.

ქუთაისის საზოქაულოს მისთვის გადადებული 40 ათასი ფუთი სიმინდი უკვე მიუღია. ბაღდადის საზოქაულოში გაგზავნილია 28 ათასი ფუთი, კიდევ ერგებათ მათ 20 ათასი ფუთი სიმინდი.

როგორც მოსალოდნელი იყო, დამშეულ რაიონებისათვის განზრახული რაოდენობა სიმიდისა დამშეულთ არ ჰყოფნით. მაგალითად სიმონეთს რგებია 4 ვაგონი სიმიდი, ხოლო მათ ამ ხანად ამ 4 ვაგონს გარდა ესაჭიროებათ 30 ვაგონი. ოკრიბა, რომელმაც სიმინდზე უარი სთქვა, ახლა შუამდგომლობს სიმინდით დახმარებას, ძალიან გაჭირვებულია თურმე ხალხი.

რაჭასა და ლეჩხუმში სიმინდის გაგზავნა ბრკოლდება ზოგი უგზოობისა და ზოგიც საქმის გამგეთა უსარისტობით.

◆ **გიორგი წერეთლის საღამო.** შაბათს, 3 მაის, ქუთაისის ქალაქის თეატრში დანიშნულია სალიტერატურო სამუსიკო საღამო გ. წერეთლის გარდაცვალებიდან 15 წლის აღსანიშნავად. იმედია ქუთაისის პატივცემული საზოგადოება თავისი დასწრებით ღირსეულად დააფასებს ამ საღამოს.

◆ ქალაქის საბჭოს ხმოსანს დ. ნ. აბდუშელიშვილს წინადადება შეუტანია ქალაქის საბჭოს სახელზე, რომ საღორიის ტყის იმ 30 დესიატინაზე, რომელზედაც ტყე სულ მოიჭრა, დაფნის ხის პლანტაცია გაშენდეს. ბ-ნი აბდუშელიშვილი იმ აზრისაა, რომ დაფნა, რომელიც წყალწითელას მახლობლად სრულიად მოუვლელად იზრდება ტყეში, საღორიის აგარაკის მწირ ნიადაგზედაც იხეირებს.

თელავი

◆ კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციებზე ხელის მოწერა მეტად სისწრაფით მიდის. 26 აპრილამდე 100 აქციაზე მოაწერეს ხელი 25,000 მანეთისა. მსურველი კიდევ ბევრია.

სათათბიროს გარშემო

ნ. ჩხეიძის საქმე.

სახელ. საბჭოს პირველ დეპარტამენტის წევრებმა სათათბიროს წევრებთან საუბრის დროს განაცხადეს, ჩხეიძის სიტყვის გულდასმით წაკითხვამ დაგვარწმუნა, რომ მის სიტყვაში ისეთი არაფერია, რისთვისაც მისი პასუხისგებაში მიცემა შეიძლებოდესო.

* * *

კადეტების საქციელის გამო გაზეთი „დენი“ ბრალსა სდებს მათ. იგი ამბობს: „საწყენი იყო ჯარისკაცების ფეხის ბრახუნი სათათბიროს დარბაზში. მაგრამ ჯარისკაცების ფეხის ხმაზე უფრო საწყენი იყო კადეტების დუმილი და სეირის ყურება. რატომ იყვნენ დადუმებულნი კადეტები იმ დროს, როდესაც მემარცხენე დეპუტატებს აძევებდნენ. რატომ უცქეროდნენ ისინი ფილოსოფიურ-გულგრილად იმას, რომ თავმჯდომარე და უმრავლესობა სრულებით არ დაერიდა „ნაკაზს“ და ერთი მეორეზე განდევნა სათათბიროდან მემარცხენე წევრები შეიარაღებული ძალის დახმარებით? ამის თაობაზე [illegible] კადეტები არ დაფიქრებულან.

კადეტების ორგანო „რეჩი“ განმარტავს კადეტების საქციელს, იგი იმით ამართლებს კადეტებს საქციელს, რომ „საპარლამენტო ბრძოლის იარაღად სათათბიროს ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყა უნდა იყვესო.

მიუხედავად ამ განმარტებისა კადეტების მეორე ორგანო „სოვრემენოე სლოვო“ [illegible] ჰკიცხავს კადეტების საქციელს.

გაზეთი ეკითხება მათ:

„რად დაითხოვეს დეპუტატები სწორედ 15 კრებით?

პროვინციის თითქმის ყველა კუთხის პრესამ ამოიღო ხმა ამ უკანასკნელი ამბების გამო. „კიევის მისლი“ ამბობს რომ უკანასკნელი ამბები ლოღიკური შედეგია მდგომარეობისა. სახალხო წარმომადგენლების უფლებათა დაცვა მემარცხენეებმა თავს იდეს. კადეტების თავის შეკავება იმ სამწუხარო ტაქტიკის განმეორებაა, რომელსაც იგინი მეორე სათათბიროშიაც აწარმოებდნენ.

„ადესის ლისტოკი“ და „ნოვოსტიც“ ჰკიცხავენ როძიანკოს და უმრავლესობის საქციელს.

საერობო მოღვაწე ოქტომბრისტები და ხარჯთ-აღრიცხვა.

საერობო მოღვაწე ოქტომბრისტებმა ფრაქციულ კრებაზე ხანგრძლივი კამათის და აურ-ზაურის შემდეგ დაადგინეს რომ უარი სთქვან რაიმე ხარჯთ-აღრიცხვის დემონსტრატიულად უარყოფაზე, რადგან ხარჯთ-აღრიცხვის რაიმე ნაწილის უარისყოფას უკანონოდ სთვლიან. თავისი დამოკიდებულება მთავრობის პოლიტიკისადმი და ცალკე უწყებებისადმი დაადგინეს გამოსთქვან მორიგ საქმეებზე გადასასვლელ ფორმულებში, რომელსაც შეიტანენ. რაიც შეეხება ცალკე კრედიტებს იმათ ოქტომბრელები მიიღებენ ან უარჰყოფენ მხოლოდ საქმიანობის თვალსაზრისით, იმის და მიხედვით თუ რამდენად საჭიროა იგი საკულტურო საქმეთათვის, დაცვისათვის და სახელმწიფოს მექანიზმს სწორი ფუნქციისათვის.

უცხოეთის პრესა სახელმწ. სათათბიროდან ოპოზიციის განდევნის შესახებ.

პარიზი. პრესა ჯერ-ჯერობით ერიდება სათათბიროში მომხდარ უკანასკნელი ამბების განმარტებას; პოლიტიკურ, საფინანსო და საბირჟო წრეებში სათათბიროს ცნობილ სხდომის დაწვრილებითი ამბები დიდ ინტერესს იწვევს „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტს უსაუბრნია ერთ გამოჩენილ პარიზელ მოღვაწეებთან, რომელსაც განუცხადებია:

— უეჭველია, მომავალი ამბები გამოააშკარავებს ზოგიერთ რასმე, მაგალითად: მთავრობის სურვილი, რომ სათათბიროს წაართვას ერთადერთი პრეროგატივა—სიტყვის თავისუფლება—თითქმის ბიუროკრატიული ცენზურის შემოღებას უდრის სახალხო წარმომადგენლებისადმი. მაგონდება, რომ პირველი სათათბიროს დათხოვნის შემდეგ განსვენებულმა სტოლიპინმა „რეიტერის სააგენტოს“ უთხრა: რეაქცია, მთავრობის პროგრამას არ შეადგენს, და ყველა რეფორმა განხორციელებულ იქნება, როგორც კი სიწყნარე დამყარდება და ახალი რეჟიმი მოღონიერდება. სწორედ რომ ვსთქვათ, მაშინაც კი შეიძლებოდა ამ განცხადების სკეპტიკურად მოეპყრობოდით.

ეხლა ცდილობენ, რომ ფაქტიურ უუფლებობას, ხმის ამოუღებლობაც დაემატოს. ეს უკანასკნელი საბოლოვო გულახდილი ცდაა ბიუროკრატიისა, რათა რუსეთის მთელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება უკუღმა მოატრიალოს.

მუშათა ცხოვრება

ჩვენში.

მურღული. საავადმყოფო კასის მოქმედება.

მურღულის საავადმყოფო კასამ პირველ თებერვლიდან დაიწყო მოქმედება.

მოქმედების დაწყებისას კასაში ითვლებოდა 2219 წევრი, აქედან კანტორის მუდმივი მოსამსახურე 79, დანარჩენი მუშები, ხელოსნები და სხვები.

თებერვლისა და მარტის განმავლობაში კასაში შემოსულა 358 ახალი წევრი. კასიდან კი გასულა 507 წევრი. ამრიგად პირველ აპრილს კასაში ირიცხებოდა 2070 წევრი.

საწევრო გადასახადი თებერვლისა უდრიდა 1369 მან. 71 კ. კანტორის მიერ დამატება ამ თანხაზე 913 მან. 10 კ. სულ შემოვიდა თებერვლის განმავლობაში 2282 მან. 81 კაპ. ამაში კიდევ არ შედის საწევრო გადასახადი ინგლისელ მოსამსახურებისა (34 კაცი), რომელნიც აქამდის უარზე იყვნენ კასაში შემოსვლაზე. მაგრამ ბოლოს ისინიც დარწმუნდნენ და კასაში ჩაეწერნენ. თებერვლის მათი საწევრო გადასახადი დამატებით უდრიდა 170 მანეთამდე. პირველი ორი თვის განმავლობაში კასას შემდეგი გასავალი ჰქონია: 1) წევრებს ავადმყოფობის გამო დახმარება—170 მ. 57 კ. (უბედური შემთხვევის დროს დახმარებას ჯერ-ჯერობით კასა არ იძლევა, რადგან „დამზღვევი ამხანაგობა“ ჯერ კავკასიაში არ შემდგარა და მუშები დაზღვეული არიან ძველი—2 ივნისის კანონით, რომლის ძალითაც „ხაზეინები“ თვითონ არიან ვალდებულნი პირველი დღიდანვე აძლიონ დახმარება დაშავებულებს), 2) წევრთა ოჯახებისთვის დახმარება გასულა (მშობიარობისდროს) 75 მ. 3) კანტორის ხარჯები 45 მ. 13 კ. 4) გამგეობის ხარჯები; ამაში შედის გამგეობის წევრების ჯამაგირი, კასის მოსამსახურის ჯამაგირი და სამგზავრო ხარჯები სულ ორი თვის განმავლობაში 296 მან. 23 კ. 5) მოძრავი ქონების შესაძენად (ავეჯეულობა და სხვა და სხვა ნივთები კანტორისათვის. 176 მან. 48 კაპ. 6) სათადარიგო თანხაში გადარიცხულია 5 პროც. 114 მ. 14 კ. სულ ყოფილა გასავალი ორი თვის განმავლობაში 807 მან. 57 კაპ.

პირველ აპრილს ირიცხებოდა კასაში 1475 მ. 24 კაპ. ამას მიუმატეთ მარტის შემოსავალი, რომელიც კასაში მხოლოდ აპრილის 20 შემდეგ უნდა იქნას შეტანილი, და უდრის 2313 მან. 70 კ. ოც აპრილს მოხდა საზოგადო კრება, რომელზედაც თავმჯდომარეობდა „სპილენძის მწარმოებელ“ საზოგადოების წარმომადგენელი.

კრებამ დაამტკიცა გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი ავადმყოფ წევრების წესდებისა მცირეოდენი შესწორებით. გამგეობის მოხსენებამ ავადმყოფ წევრთათვის თვალყურის დევნის შემოღებისა და კანტროლიორების დანიშვნის შესახებ დიდი კამათი გამოიწვია. მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, რომ კონტროლიორები მართალია საჭიროა, მაგრამ არა ავადმყოფ წევრების თვალყურის სადევნად, არამედ ექიმის მოქმედებისთვის, რომელსაც ოთხჯერ რომ მიმართო, ერთხელ ვერ დაითანხმებ ავადმყოფთან წასაყვანათ. ბოლოს კრებამ უარჰყო კანტროლიორების არჩევა და დაადგინა, რომ ავადმყოფ წევრების ყოფაქცევის თვალ-ყურის დევნება ყველა წევრის მოვალეობა იყოსო.

კრებამ დაადგინა—იმ დღეებში, როცა დახმარება ეძლევათ წევრებს, ჩაირიცხულ იქნას აგრეთვე კვირა უქმე დღენი და ის დღეებიც, რომლის დროსაც მუშაობა შეჩერებულია წარმოებაში. გამგეობას დაევალა დაურიგოს წევრებს საწევრო წიგნაკები, რომლებშიც ჩართული უნდა იყოს წესები ავადმყოფ წევრთათვის რუსულ, თათრულ და ქართულ ენაზე.

უმთავრესი კითხვა კრების იყო საქმიო დახმარების საქმის საავადმყოფო კასის ხელში გადასვლა. კრებამ ერთხმად აღიარა საქმიო დახმარების საქმის კასის ხელში გადასვლის აუცილებლობა და დაავალა გამგეობას შესაფერ მომენტში აღძრას ამის შესახებ საკითხი „სპილენძის მწარმოებელ“ საზოგადოების წინაშე და საბოლოო პირობის შესამუშავებლად მოიწვიოს საზოგადო კრება. („ა ხრი“)

რუსეთში.

პროფესიური მოძრაობა პეტერბურგში.

პეტერბურგის პროფესიურ მოძრაობას, როგორც მთლად რუსეთის პროფესიურ ორგანიზაციების ცხოვრებას, განვითარების სამი ხანა ემჩნევა: პირველი ხანა ეს 1906-7 წლებია, როცა პროფესიურმა ორგანიზაციებმა უმაღლესს განვითარებას მიაღწიეს; მეორე ხანა დაიწყო 1907 წლის მეორე ნახევრიდგან და თითქმის 1911 წლის ბოლომდე გასტანა; ეს წლები რეაქციის გამარჯვებისა და პროფესიური მოძრაობის სრულიად დაქვეითების დრო იყო; მესამე ხანა 1912—13 წლებია, როცა მუშების მოძრაობასთან ერთად კვლავ გაცხოველდა პროფესიური მუშაობაც.

1906 წელს პირველი სახ. სათათბიროს დათხოვნის დროს პეტერბურგში არსებობდა 31 პროფესიური კავშირი. ეს კავშირები თვით იმისთანა პროფესიებსაც ჰქონდათ, რომლებიც ძნელად ეთვისებიან საერთოდ ყოველ-გვარ ორგანიზაციას, როგორც მაგალითად—მეეტლენი, დალაქები, მებაღეები და სხვ.

პროფესიური მოძრაობის ახალი გამოცოცხლებისას პეტერბურგის მუშებში 16 ორგანიზაცია იყო. 1914 წლის 1 იანვრისთვის კი 20 პროფესიას ჰქონდა პროფესიური ორგანიზაცია. ამ დროისთვის პეტერბურგის 18 პროფესიურ ორგანიზაციაში ითვლებოდა 24561 კაცი. ეს რიცხვი 1906 წლის რიცხვთან შედარებით ძლიერ ნაკლებია (1906 წელს 45,285 კაცი იყო) და 1908—11 წლებზე კი გაცილებით ბევრია. ცალ-ცალკე კავშირებში წევრთა რიცხვი ამგვარია: მელითონენი—9033, მბეჭდავი—5100, მკითხავი—880, მებულქე—1505, მკერვალი—595, მეტყავე—1027, ხეტყის მუშა 1200, მეხობაზე მომუშავე—520, მეკოლოფე—57, მეეტლე—500, ოქრომჭედელი—481, მზარეულები—150, კანტორაში მომუშავე—700, ხოჭარი 1902, სამიკიტნოების მოსამსახურე—512, ფარმაცევტი—200.

24561 ჩაწერილი წევრია, მაგრამ ეს რიცხვი არ შეეთანხმება საწევრო გადასახადის შემტანელთა რიცხვს, რაც საერთო რიცხვის ნახევარს შეადგენს.

1906 წელს საწევრო გადასახადის შემტანელთა რიცხვი უდრიდა 45000, ეხლა კი, როდესაც პროფესიური მოძრაობა კვლავ გაცოცხლდა გა-

დასახადს იხდის მხოლოდ 13000 წევრი. ცხადია, რომ 1914 წელი ჯერ კიდევ ბევრით არის დაშორებული 1906 წლიდან. მაგრამ 1908—10 წლებს კი რომ შევადაროთ პროფესიური კავშირების დიდს წინსვლას დავინახავთ. ავიღოთ მაგალითად უკანასკნელი ორი წელი—1910 და 1913, რომელთაგან 1910 ეკუთვნის კავშირების დაცემის ხანას, 1913 კი აღორძინების ხანას, და შევადაროთ ისინი:

	1910 წელი	1913 წელი
მჩითავი	497	303
მჭედავი	775	1121
მელითონე	2433	3143

როგორცა ვხედავთ, მჩითავების საწევრო გადასახადის გადამხდელ წევრთა რიცხვმა იკლო, მჭედავთა და მელითონეთა წევრების რიცხვმა კი იმატა.

მაგრამ თვით ეს მომატება ცხადად მოწმობს, რომ პროფესიური კავშირების განვითარებისთვის ხელშემწყობი წარმოების კონიუნქტურა პეტერბურგის მუშებმა ჯერ სრულიად ვერ გამოიყენეს თავის სასარგებლოდ. პროფესიური კავშირებიც ჯერ მაინც მასას გარეშე სდგანან, და მაშასადამე მუშების ეკონომიურ ბრძოლაზე საჭირო გავლენა არა აქვთ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

26 აპრილი

უცხოეთი.

მიწის ძვრა.

კატანია. დაბა ბონჯიარო და ლინერა თითქმის სრულიად დაინგრა. ასევე მოუვიდა სანტა-ვენერინის, სანტა-მარია-დელ-პამმატის, გუარდიის, სანტა-მარია-ვერჯინეს, კოსენტინის, აკენიზის ადმიანი არავინ უმსხვერპლია. მატარებელთა მიმოსვლა აჩირეალესა და კუარდიას შუა შესწყდა, რადგან გვირაბი დამსკდარია. იმ ადგილებში, სადაც მიწის ძვრა იყო მკვდარი 30, დაჭრილი 120 კაცია. დაბა ლინერიდგან მხოლოდ ნანგრევები და დარჩა. ბონჯიაროდგან იტყობინებიან, საფერანო-ეტნეაში 10 მკვდარი და 11 დაშავებულია. პიზანოდგან იტყობინებიან მოკლულ-დაშავებულნი არიანო.

ბერლინი. გერმანიაში უცხო ქვეყნების სამხედრო გადასახადის გადახდევინების გამო გერმანიის სასარგებლოდ პროტესტი წარადგინეს გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროში ჰოლანდიისა, ბელგიისა, რუსეთისა და საფრანგეთის ელჩებმა.

ტოკიო. გარეშე საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ განყოფილების დირექტორი აბეს მოკვლისთვის ორს გადაუწყვიტეს უვადო კატორღა.

ბრიუსელი. პალატამ მიიღო კანონპროექტი მუშების დაზღვევის შესახებ ავადმყოფობისა ან შრომის უნარის დაკარგვის დროს. აგრეთვე მოხუცებულთა პენსიების შესახებ. დაზღვევა სავალდებულოა ორივე სქესის მოსამსახურეთა და მუშათათვის, რომელთა შემოსავალიც 2400 ფრანკს არ აღემატება წელიწადში.

ლონდონი. დანიის მეფე-დედოფალი მოვიდა.

შტეტინი. ორი სამხედრო ავიატორი სასიკვდილოდ დაშავდა.

ტორეონი. (მექსიკა) მოვიდა კარანცა, რომელმაც თავის დროებით სატახტო ქალაქად ტორეონი აარჩია.

ათინა. ათინის სააგენტო იუწყება: დურაცოდგან გამოგზავნილი ცნობა, ვითომ ეპირელები ტყვე ალბანელებს ჯვარს აცვამენ, ტყუილია. ეპირელები ძალიან კარგად ექცევიან ტყვეებს.

ლონდონი. გაზეთებს ბელფასტიდგან ატყობინებენ, ქარიშხალის დროს ნაღმოსნები კარგად ვერ სდარაჯობდენ სანაპიროებს, და ამიტომ ზარბაზნების გადატანა მოასწრესო. ზარბაზნები ფარულ ადგილას წაიღეს. კროიდონში მიტინგზედ, სადაც საადმირალოს ფინანსების მდივანი მაკნამერი ლაპარაკობდა სუფრაჟისტკებმა არეულობა მოახდინეს, ორატორს პარკი ფქვილით ესროლეს. დაატუსაღეს 20 კაცი და ქალი.

მექსიკო. ჰუერტამ დეკრეტი გამოსცა, რომლითაც შეერთებულ შტატებთან ყოველგვარი ვაჭრობა აკრძალულია.

27 აპრილი.

კატანია. ლინერისა, ბონჯაროსა და პასაპომოს ნანგრევებიდან აქამდის ამოიღეს 60 მოკლული. ჰფიქრობენ, ნანგრევების ქვეშ კიდევ არის მოკლულებიო.

რომი. მეფემ 100.000 ლირი შესწირა მიწის ძვრისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

მადრიდი. საბიუჯეტო კანონ-პროექტით 1915 წლის გასავალი 1456 მილიონი და შემოსავალი 1335 მილიონი პეზეტია. დეფიციტი უნდა დაჰფარონ 3½ მილიარდის ქაღალდის ფულის გამოცემით.

თავრიზი. რუსეთში წამოვიდა 21 საარტილერიო ბრიგადის ბატარეა.

სტამბოლი. ოსმალეთის პრესა დიდს მნიშვნელობას აძლევს ლივადიაში წამოსულ მისიას. ოსმალეთს ბევრი საერთო ინტერესი აქვს რუსეთთან, რაც მტკიცე საფუძველს აძლევს მათ მომავალ დამოკიდებულების განვითარებას.

ათინა. კორფუში მოვიდა ავტონომიური ეპირის მთავრობის მეთაური ზოგრაფოსი, გარეშე საქმეთა უწყების უფროსი კაროპანოსი და ალბანეთის საერთაშორისო საკონტროლო კომისიის წევრები.

კატანია. ოფიციალური ცნობით მიწის ძვრამ დაანგრია დაბები—ლინერა, ცერბატი, პასაპომო, პენიზი. დიდი ზარალი მიაყენა დაბებს—სანტა-ვენერინის, სანტა-მარია-დელ-ბალატი, გუარდია, ბონჯარდო. მოკლული აქამდის 153, მაგრამ ფიქრობენ ნანგრევებში კიდევ არიან მსხვერპლები. დაშავებული 150, ამათგან 80 მძიმედ.

რომი. ფლორენციის ობსერვატორიის დირექტორი სეისმოგრაფიული აპარატების ჩვენების მიხედვით, ამბობს, რომ ეს მიწისძვრა ზედაპირული იყო, რაც ეტნის მოძრაობის გაძლიერებით აიხსნებაო.

რუსეთი.

პეტერბურგი. ბეჭდვითი საქმის კანონ-პროექტის განმხილველი კომისიის უკანასკნელი კრება მოხდა. თავმჯდომარედ აარჩიეს გრაფი ბენიგსენი, რომელმაც განაცხადა, შემდგომისთვის მოხსენებას შევიმუშავებო. ოპოზიციამ განაცხადა, რომ მოხსენების შესახებ თავისს განსაკუთრებულს აზრს წარადგენს.

29 აპრილს დაიწყება შეცადინეობა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ საუწყებათაშორისო თათბირისა მუსულმანთა საქმეების შესახებ.

ნება დართეს, რომ 1916 წელს პეტერბურგში გაიმართოს ქალების ვაჭრობასთან მებრძოლი საერთაშორისო კონგრესი.

სოლქო სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა თანადასწრებით გაარჩია საქმე „სოვრემენი მირის" რედაქტორის კრანიხფელდისა, რომელსაც 1912 წლის აპრილის ნომერში დასტამბული გუსევ-ორენბურგსკის მოთხრობაში—„ჩრდილი" ღვთის გმობა ბრალდება. კრანიხფელდს გადაუწყვიტეს რვა თვის ციხე, ჟურნალის ის ნომერი მოსპეს.

კიევი. საგუბერნიო ხაზინიდან გაიტაცეს პაკეტი, რომელშიაც 38.000 მ. პროცენტიანი ქაღალდები იყო. ქალაქში წყალი არ არის.

რიგა. კუზნეცოვის ამხანაგობის ფაიფურისა და ქაშაურის ფაბრიკაზე გაიფიცა 1100 კაცი ეკონომიურ ნიადაგზე. მიულგრაბენის ციხეს გემთსაშენზე მუშაობა განახლდა.

რიგა. ღამე ერთს სახლში აფეთქება მოხდა. სახლი სრულიად დაინგრა, მახლობლად იპოვეს უცნობის გვამი, რომელსაც ყელში წვერები ჰქონდა მიკერებული.

კიევი. ქალაქში პირველ მაისობის შესახები ფურცლების გავრცელებისთვის, რომელიც მუშებს გასაფიცავად მოუწოდებდა, დაატუსაღეს 5 კაცი, რომელთა შორის 3 სტუდენტია.

ბაქო. ქალაქის განაპირა უბანში ყუმბარა აფეთქდა. არავინ დაშავებულა. ჩხრეკამ 2 გატენილი ყუმბარა აღმოაჩინა. დაატუსაღეს თათრები და 2 სომეხი.

მოგილევი. კოპისში დაიწვა 90 სახლი, 75 დუქანი, 4 თორა. ქრისტიანებს ეკლესია და პეტრე დიდის სახლი გადარჩა. 200 ოჯახი დაზარალდა. ეჭვი მიიტანეს ერთ პირზე, იმან წაუკიდა ცეცხლიო, და დაიჭირეს. იგი გამოტყდა.

პეტერბურგი. ცნობათა მიმცემი ბიურო აცხადებს, რომ 26 აპრილს გაზ. „რუსკია ვედომოსტის" მიერ გამოქვეყნებული ცნობა სათაურით „მმართველთა წრეებში", რომელიც შეეხება შინაგან საქმეთა მინისტრის მოქმედებას ჩხეიძის პასუხისგებაში მიცემის შესახებ სიმართლეს მოკლებულია.

იალტა. მოვიდა ოსმალეთის მისია შინაგან საქმ. მინისტრის თალაათ-ბეის მეთაურობით, ყოფილი მინისტრი იზეტ-ფაშითურთ, გენერალური შტაბის პოდპოლკოვნიკი ჰასან-ფექრიბითურთ. მათ ქალაქის ადმინისტრაცია მიეგება და ლიტოვის პოლკის ყარაული.

ჟიტომირი. კიევიდან გამოფრენილი საავიაციო სკოლის ოფიცერი მალჩევსკი და ეფრეიტორი ერვენი ღამის 10 საათზე სოფელ კორშის ახლო ჩამოცვივდნენ და დაშავდნენ.

ღია ბარათი

ბ-ნ ლადო ბზვანელს.

ფრიად საჭიროდ მიგვაჩნია ამ ზაფხულს მოეწყოს სახალხო მასწავლებელთა ექსკურსია. უმორჩილესი თხოვნით მოგმართავთ მიიღოთ შრომა ამ მიზნის განსახორციელებლად და გამართოთ მსურველთ ჩაწერვა; ამასთანავე შეიმუშავოთ ექსკურსიის „მარშრუტი" და გაზეთის საშუალებით აქედანვე აცნობოთ ამხანაგებს, რომ იმათაც შესძლონ თავისი შენიშვნა მოგაწოდონ. ეჭვს გარეშეა, რომ ზოგიერთი ჩვენი მოწინავე ამხანაგები მაინც სიხარულით მიეგებებიან ამ საჭირო საქმეს და თუ 15—20 კაცი მოგროვდება—მიზანსაც მივაღწევთ.

მასწავლებელი გ. ა—ნი.

წერილი რედ. მიმართ

მოწყალე ხელმწიფევ
ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო თავადთ ალექსანდრე ივანეს ძე და მარიამ ვახტანგის ასულს [illegible]-ორბელიანთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ჩვენდამი რწმუნებულს ლამისყანის წმ. გიორგის ეკლესიას შესწირეს ორი ხელი სამღვდელო შესამოსელი ღირებული ათ თუმნად და ივანე მაყაშვილს 25 მან. შემოწირულობისათვის.

ლამისყანის სამრევლოს მღვდელი **გ. კარბელაშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ პატივცემული სახალხო გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო ტოქაულს გრიგორი დავითის ძე მორთულაძეს 20 მან. შემოწირულობისათვის ჩვენდა-რწმუნებულ აწყურის სამრევლო სკოლის სასარგებლოდ.

აწყურის (ახალციხის მაზრა) სამრევლო სკოლის გამგე მღ. **ე. ანასარიძე.**

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) მოწაფეემ ასხაზაძემ: ორი სიგელი (ერთი ანტონ კათალიკოზისა და ერთი იოანე კათალიკოსისა—ლიასამიძისა).

2) სიკო ფაშალიშვილმა: შავი ფული.

3) ესტატე შიშნიაშვილმა (ტუაფსედან): ა) ორი შავი ფული, ორი თეთრი (იაპონური და ოსმალური) და ბ) ერთი ათონური ბეჭედი.

4) მიხეილ ალექსის ძემ როსტიაშვილმა: შავი ფული.

5) იულია ივანეს ასულმა ზუბალაშვილისამ: ა) სამი ხუცური ნაბეჭდი წიგნი და ერთი მხედრული ნაბეჭდი წიგნი და ბ) დამიანე კაპუცინის სურათი ფერადებით ნახატი.

6) თინათინ გიორგის ასულმა ფორაქაშვილისამ: ა) ორი თეთრი და ერთი შავი ფული, ბ) ოქრომკედით ნაქარგი ქისა, გ) ოქრომკედის სახვევი მაქო და დ) ხელნაწერი.

7) დრუბელა გიორგის ძემ ყირმიზაშვილმა: ა) საპირისწამლე და სასწრაფო ზარნიშიანი, ბ) საძეხვო ხორცის ორი საკეპი დანა და ოთხი ძველებური ქილა მაწვნისა, გ) ქოთათური, მაშხალა, ყანწი და უმარილის სალესავი, დ) ქონის სანთლის ქალები ორი ცალი, ე) ნადირის ქილები (ორი), ვ) ტიკის მასრა და ჩიბუხი ზ) ორი ფირფიტა, სათითე და თმის გასაყოფის თავი, ჱ) მაყაში და თ) საწერელი.

8) ანასტასია წერეთელმა: ა) „ლომკაცი", გიორგი წერეთლის ავტოგრაფი და ბ) ორი ხატი.

9) თამარ ტრიფონის ასულმა ლამბაშიძემ: ორი ფული (ერთი ქართული და სამი თეთრი (ერთი ბერძნული).

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

ჭანის გამოფიტვ

ჭლექისა, ათაშანგისა და სხვა ქრონიკ. ეს
რასტენია და ნერვიული სნე ებანი, ხქესო , იულიო ფიეულებანი, მოხუცებულობის დაუძლურება ადვილად იკურნება პე სპერმინით, რასაც ადასტურებს მწერლობაში გამოქვეყნებული მთელი ქვეყნის გამოჩენილ ექიმთა დაკვირვებანი.
პელის სპერმინი ერთად-ერთი ნამდვილი ნაცადი სპერმინია. ვის ყურადღება უნდა მიაქციოთ
სახელწოდებას **სპერმინი პელასი** და ხელი აიღოთ ყველა ყალ ოებაზე, როგორც ყოვლად
უვარგის მიბაძულებაზე, რომელნიც არც შემადგენლობით, ა ლას სპერმინთან საერთო
არა აქვთ და ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნებელ შემად
მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ წიგნი „სპერმინის სა ოო ვისაც მთელი
ორგანოტერაპია აინტერებს, 4 შვიდ-კაპეკიან მარკის გამოგზავნ. გამოსული წიგნი „ორგანიზმის სამკურნალო ძალანი".
სპერმინ-პელასი იშოვება ყველგან. ✦ Me. [illegible] K-°. 8699. 1017

პროფესორ ექიმი პელი შვილებით ს. პ. ბ.
მის იმპერატ. უდიდებულეს. ხასახ. მთავარ მომწოდებელი.

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან.

ტფილისიდან გადის:
(დრო ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ბაქოსაკენ: **ნარევი** № 22,—4 ს. 58 წ. შუადღ.; **სამგზავ.** № 12,—4 ს. 5 წ. დღის.; **სამგზავ.** № 8,—6 ს. 25 წ. საღამ.; **ჩქარი** № 6,—12 ს. 8 წ. შუადღ.; **საფოსტო** № 4, 10 ს.—20 წ. საღ.

ბათუმისაკენ: **ნარევ.** № 21—2 ს. 59 წ. შუადღ.; **სამგზავრო** № 9,—8 ს. 53 წ. საღამ.; **სამგზავ.** № 7,—2 ს. 18 წ. დღ.; **ჩქარი** № 5,—8 ს. 16 წ. საღ.; **საფ.** № 3,—9 ს. 54 წ. დილით.

ბორჯომისაკენ: **სამგზავ.** № 17/18,—7 ს. 28 წ. დილ.; **სამგზავ.** № 19/20,—3 ს. 20 წ. დღით.

მცხეთისაკენ: **საბაგარაკო** № 61,—8 ს. 23 წ. დილ.; **საბაგარაკო** № 63,—2 ს. 38 წ. დღისა.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან: **ნარ.** № 22,—3 ს. 55 წ. ღამ. **სამგზავ.** № 10,—9 ს. 51 წ. დილ.; **სამგზავრო** № 8,—5 ს. 53 წ. საღ.; **ჩქარი** № 6,—11 ს. 8 წ. დღ.; **საფ.** № 4,—9 ს. 30 წ. საღ.

ბაქოდან: **ნარევი** № 21,—2 საათ. 17 წ. შუადღ.; **სამგზ.-საბარგ.** № 9,—10 ს. 5 წ. დილ.; **სამგზავ.** № 7,— 1 ს. 42 წ. დღით, **ჩქარი** № 6,—7 ს. 41 წ. საღამ.; **საფ.** № 3,—8 ს. 58 წ. დილ.

ბორჯომიდან: **სამგზავ.** № 17/18,—10 ს., 28 წ. საღ.; **სამგზავ.** N 19/20,—7 ს. 25 დილ.

მცხეთიდან: **საბგ.** № 62,—12 ს. 18 წ. დღ.; **საბგ.** № 63,—8 ს. 48 წ. საღ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 **ბ. ფომინა-თხაპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქ-ნ ლ. ქალანთაროვა** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6**ა. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).
9—11 **ბ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **ბ. ა. მარაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ. ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის ს[illegible]

მთაწმინდა—პუშკინის ის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედა (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

დაბა კოჯორში

გაიცემა სადგომი **სახლი** საწვრიმალოსათვის თავისი მოწყობილობით, სატრაქტიროთ, საყასბოთ, პურის საცხობისათვის, აგრეთვე სადგომ ოთახებათ 1, 2, 3, 4, 5. იკითხეთ: მიხეილის ქ. № 110, სახლის პატრონი ნაშუადღევის 4 საათიდან 6 საათამდე. 293

ტფილის. ქალაქის

გამგეობა

აუწყებს სავაჭრო-სამრეწველოების პატრონებს, რომ ტფილისის ქალაქის საბჭოს მიერ გამოცხადებულ სავალდებულო დადგენილებათა მიხედვით, ქალაქის გამგეობის ნება დაურთველად

აკრძალულია ვიტრინების გამოკიდვა გარედ.

ვისაცა ჰსურს, უკვე
გამოკიდებული ვიტრინები დასტოვოს,
ან ახალი ვიტრინები გამოჰკიდოს,

ვალდებულია მიჰმართოს ქალაქის გამგეობას 1 მაისამდე ნებართვის მისაღებად, და, გუბერნატორის მიერ დამტკიცებულ ნიხრის მიხედვით, უწყებული გადასახადი წარადგინოს. 1185

ს ო რ ა პ ა ნ ი ს გ ა მ ო ც ე მ ა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ თხზულებანი

გიუ-დე მოპასანისა

ტომი 1, ფასი 1 მანეთი.

სრული სამზარეულო

შედგენილი კნ. **ბარბარე ჯორჯაძის** მიერ. ფასი 1 მან., ყდით 1 მ. 40კ.
მსურველს წიგნი ფასდადებითაც გაეგზავნება.
მისამართი: **Тифлисъ, типографія Сорапанъ М. Гачечиладзе.** 1161

ეემმ ნავასარდიანის

პირველი კერძო

სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფებს მიიღება ყოველ დღე
გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606" და „914"

11—12 ს. შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა
კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. ბ. ავახაროვი: 1—2 ს. ავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ლ. შ[illegible]ნახოვი: 10—11 ს. საბავშვო, ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. მელიქსანოვა: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბავშვო და ქალების ავადმყ.

ს ა ღ ა მ ო თ:

მ. გ. მელიქსანოვა: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1071

უმელზან მოითხოვეთ

„ამაზმორინ"-ი,

უებარი საშუალება ფეხის და სხეულის სხვა ნაწილების ოფლისა

ა. ე. ისააკიანცისა.

ეს ფხვიერი ყოვლად უვნებელია.
საუკეთესო მოწონების ბარათები გვაქვს.
ფასი 20 კ.
საწყობები: **ძმ. ტერტეროვების** სააფთიაქო საწყობი თ-დ ვორონცოვის ძეგლთან, ან ანტონოვის ქუჩა № 32, არამს. 211

თევზის მრეწველნი

ემ. [illegible]

ძმეველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9
ტელეფონი № 712.

განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ქვეშ,
საკუთარ სახლში.

იყიდება

იმავე **ხარისხის**

საქონელი,

როგორც პუშკინის ქუჩაზე. 1081

მაღაზია „ექსელანს"-ი

საკ. სახ. ა. ე. და ა. დ. აკოფჯანოვებისა დ-ამხ.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, ტელეფ. № 6—96.

რადგანაც მიმდინარე სეზონისათვის დიდძალი რჩეული შეკერილი ტანისამოსი მივიღეთ **კაცებისა, ქალებისა** და **ბავშვებისა**, და რადგანაც გვინდა, რომ საქონელი მეორე სეზონისათვის არ დარჩეს,

უდიდესი იაფი ვაჭრობა

კიდევ რამდენიმე დღეს გრძელდება

მაღაზიაში დაწყობილი ყველა საქონელი გაიყიდება **მიტის-მიტად იაფ-ფასებში**, სახელდობრ:

მანტო ქალებისა მოდური 13 მ.-დან უფრო ძვირად.
კოსტუმები ქალებისა 20 მან.-დან. „
კოსტუმები კაცებისა 10 მანეთიდან „
საზაფხულო ქილობის ტუჟურ. 7 მ.-დან „

● პალტო საზაფხულო 10 მ.-დან. მივიღეთ აგრეთვე ბევრი **რჩეული საქონელი** რუსული და ინგლისური, ყოველ-გვარ შეკვეთის მისაღებად, რაც სწარმოებს გამოცდილ გამომჭრელთა ხელმძღვანელობით.

სიგანგებოდ შეკვეთას 24 საათში ვამზადებთ.

ისარგებლეთ შემთხვევით! მხოლოდ რამდენიმე დღეს! ფასები შეუდარებლად! 1120

ტფილისი, სტამბა „შრომა", მუხრანის ქუჩა, ტელეფონი № 14—42.